



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №132

2013 წლის 23 აგვისტო



ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #226
განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #226 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა სპორტსმენთა საქართველოს, რეგიონალური და მუნიციპალური დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის მაქსიმალური მხარდჭერა, რაც ხელს შეუწყობს სოფლად ახალგაზრდა სპორტსმენტთა შემდგომ დაოსტატებას და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, სპორტის სხვა და სხვა სახეობების ჯგუფების ჩამოყალიბება და სავარჯიშო პირობების მოწესრიგების ხელშეწყობა.

არსებული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი.

ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხით პროგრამის დაფინანსებას.

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების არეალი და სტრუქტურა.

მოქმედი სპორტული ჯგუფები:

დაბა სურამი _ ჭადრაკი (1 ჯგუფი)

დაბა სურამი_ ძიუდო (1 ჯგუფი);

სოფ. ვაყაში_ძიუდოში (1 ჯგუფი);

სოფელ ალში _ ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი);

სოფელ გომში _ ჭადრაკი (1 ჯგუფი);

სოფელ გომში _ ფეხბურთი (1 ჯგუფი);

სოფელ ფლევეში _ ქართულ ჭიდაობაში (1 ჯგუფი);

სოფელ ოსიაურში _ ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი);

სოფელ ცხრამუხაში _ ფეხბურთი (1 ჯგუფი);

სოფელ ქინძათში – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი).

სპორტული მონაცემების მქონე მოზარდების გამოვლენა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში.

მუხლი 4. პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2013 წლის 1 იანვრიდან --- 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 25 960 ლარი. რაც მოიცავს მონაწილეთა შრომის ანაზღაურებას და აუცილებელ სამივლინებო ხარჯებს.

პროგრამის ეფექტურად ამოქმედებისათვის საჭიროა:

- ა) სპეციალისტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის დასახლებებში სოფლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეისწავლიან სპორტული ცხოვრებით დაინტერესებული მოზარდების კონტიგენტს, უზრუნველყოფენ სპორტულ ჯგუფებში მათ გაერთიანებას, განსაკუთრებული სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას, განახორციელებენ სოფლად სპორტის აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას და მათ ორგანიზებას.
- ბ) მწვრთნელ-მასწავლებლები რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებული სოფლების ახალგაზრდებისათვის განახორციელებენ სასწავლო საწვრთნელ მეცადინეობებს სპორტის პოპულარულ სახეობებში.

ხარჯის დასახელება	იანვარი-მაისი	ივნისი-აგვისტო	სექტემბერი-დეკემბერი	სულ:
ხელფასი	10 100 ლარი	6060 ლარი	8800 ლარი	24 960
მივლინება				400
სხვა საქონელი				600
სულ				25 960

მუხლი 6. პროგრამის შედეგი.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტსმენტთა შემდგომ დაოსტატებას და სპორტული გამოცდილების შეძენას, სოფლად ახალგაზრდა თაობის სწორ აღზრდას და გაჯანსაღებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენტთა წარმოჩენას.